



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 10 მარტი

დისციპლინური საქმე №18/22
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

---, --- და --- 2022 წლის 11 თებერვლის №18 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 21 თებერვლის №94/18-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერებას. კერძოდ, იგი უთითებს, რომ მოსამართლემ საქმეზე ხარვეზის დადგენის გარეშე უარი უთხრა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, ამასთან, დაარღვია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების მიღების ვადა.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. ---, --- და --- 2022 წლის 10 თებერვალს სარჩელით მიმართეს --- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების --- და --- დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და ქმედების განხორციელების დავალდებულების მოთხოვნით.

--- სასამართლოს 2022 წლის 10 თებერვლის განჩინებით მოსარჩელეებს უარი ეთქვათ სარჩელისა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე. ამასთან, მოსარჩელეებს განემარტათ, რომ თავიანთი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით სარჩელით უნდა მიმართონ --- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

2022 წლის 11 თებერვალს ---, --- და --- სასამართლოს 2022 წლის 10 თებერვლის განჩინების გაუქმების მოთხოვნით კერძო საჩივარი და საჩივარი წარადგინეს სასამართლოში.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ

მიღებული განჩინების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლი განსაზღვრავს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლებს. კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის. ამავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად კი სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმა მოტივირებულია იმით, რომ ეს სარჩელი ამ სასამართლოს განსჯადი არ არის, მოსამართლე ვალდებულია მიუთითოს თავის განჩინებაში, თუ რომელ სასამართლოს მიმართოს მოსარჩელემ. განჩინებაში უნდა მიეთითოს აგრეთვე, თუ როგორ უნდა იქნეს აცილებული საქმის აღძვრის დამაბრკოლებელი გარემოებანი.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელებმა 2022 წლის 10 თებერვალს სარჩელით მიმართეს სასამართლოს. აღსანიშნავია, რომ მოსამართლემ იმავე დღეს განიხილა მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილი სარჩელი და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობა და მიიღო შესაბამისი განჩინება. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარეს სარჩელი არ ჰქონდა წარდგენილი აღნიშნული დავის გადაწყვეტისთვის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული განსჯადი სასამართლოსთვის, შესაბამისად, მოსარჩელებს უარი ეთქვათ სარჩელის განსახილველად მიღებაზე არაგანსჯადობის საფუძველით. ამასთან, სასამართლომ მათ განუმარტა, რომ საქმის აღძვრის დამაბრკოლებელი გარემოების თავიდან აცილების მიზნით, მოსარჩელებს უნდა მიემართათ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისთვის.

რაც შეეხება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მოსარჩელების შუამდგომლობას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილი მხარეს ანიჭებს უფლებას მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რათა ხელი არ შეეშალოს ანდა შეუძლებელი არ გახდეს სამომავლო გადაწყვეტილების აღსრულება. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელებს უარი ეთქვათ სარჩელის განსახილველად მიღებაზე სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის განსახილველად მიღების საფუძველი.

შესაბამისად, განჩინების მიღებისას მოსამართლემ იხელმძღვანელა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამდენად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი განჩინების კანონიერების შემოწმებას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

შეწყდეს --, -- -- და -- -- 2022 წლის 11 თებერვლის №18 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ არსებული დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი